

ვებგვერდი, 110818013, 22/08/2011  
სარეგისტრაციო კოდი  
300160070.22.024.016100

საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრის  
ბრძანება №1-1/1559  
2011 წლის 18 აგვისტო ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით  
მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის“  
დამტკიცების თაობაზე

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 9 ივნისის №1-1/883 ბრძანებით დამტკიცებული „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის“ პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი“.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2008 წლის 13 ივნისის №80 ბრძანება.

**მუხლი 3.** ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ვ. ქობალია*

ტექნიკური რეგლამენტი  
ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და  
ბარგის გადაზიდვის წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებული იქნა

საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების, ნორმებისა და წესების შესაბამისად.

2. წესი ადგენს საერთო სარგებლობის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის მომსახურების პირობებს, სამგზავრო გადაყვანის პროცესში მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას.

3. წინამდებარე წესის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ კომერციული მიზნით განხორციელებულ სამგზავრო გადაყვანებზე.

4. დაუშვებელია არარეზიდენტი (უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული) გადამზიდველის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ორ პუნქტს შორის კომერციული მიზნით სამგზავრო გადაყვანის განხორციელება, თუ იმ გადამზიდველის ქვეყანასთან საქართველოს მიერ დადებული „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“ სამთავრობათაშორისო შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

## **მუხლი 2. წესის მიზანი**

წესის მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის პროცესში უსაფრთხოების, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოსა და საკუთრების დაცვა;

ბ) სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრის მომსახურების პირობების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;

გ) სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის განხორციელებისას მგზავრის, მძღოლისა და გადამზიდველის უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

## **მუხლი 3. ტერმინების განმარტება**

1. წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

ა) **ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანა** – მგზავრის გადაყვანა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით (არსებობის შემთხვევაში), თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში;

ბ) **არარეგულარული გადაყვანა** – მგზავრის გადაყვანა, რომელიც არ განეკუთვნება რეგულარულ გადაყვანას და გადაყვანის პირობები თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის განისაზღვრება გადამზიდველსა და დამკვეთს შორის შეთანხმებით;

გ) **ბარგი** – მგზავრისაგან განცალკევებულად გადასაზიდი ტვირთი (კონტეინერი), ზომით არა უმეტეს 100სმX50სმX30სმ, რომელიც, როგორც წესი, თავსდება სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბარგულში;

დ) **მარშრუტი** – პუნქტებს შორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმოსვლისათვის წინასწარ დადგენილი გზასავალი;

ე) **მგზავრი** – ფიზიკური პირი, რომელიც მგზავრობს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებით, გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულების საფუძველზე;

ვ) **მომრაობის განრიგი** – მარშრუტზე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების მომრაობის დაწყება-დამთავრების დროის, მიმოსვლის ინტერვალისა და შუალედურ პუნქტებში გაჩერებების განმსაზღვრელი ცხრილი;

ზ) მსუბუქი ავტომობილი – მგზავრის გადასაყვანად და/ან ბარგის გადასატანად განკუთვნილი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის დასაჯდომი ადგილის რაოდენობა მძღოლის ადგილის გარდა არ აღემატება 8-ს (M<sub>1</sub> კატეგორია) ;

თ) რეისი – მარშრუტზე შესრულებული (შესასრულებელი) სატრანსპორტო პროცესი;

ი) საბილეთო სალარო – ობიექტი, სადაც ხორციელდება მოქალაქეებზე სამგზავრო ბილეთების რეალიზაცია და მასთან დაკავშირებული მოსახურება;

კ) სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალება:

კ.ა) ავტობუსი – მგზავრის გადასაყვანად და მისი ბარგის გადასატანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება 8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილით, მძღოლის ადგილის გარდა (M<sub>2</sub> და M<sub>3</sub> კატეგორიები);

კ.ბ) მსუბუქი ავტომობილი-ტაქსი – დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი მსუბუქი ავტომობილი, რომლითაც ხორციელდება მგზავრის გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა;

ლ) სამგზავრო ბილეთი – შევსებული ბილეთის ბლანკი, რომელიც ადასტურებს მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობას პირსა და გადამზიდველს შორის;

მ) სპეციალური რეგულარული გადაყვანა – გარკვეული ჯგუფის მგზავრების რეგულარული გადაყვანა (დასაქმებულები, მოსწავლეები, სტუდენტები, სამხედროები და სხვა.);

ნ) ხელბარგი – მგზავრის მიერ პერსონალურად გადასატანი ნივთი ზომით არაუმეტეს 60სმX40სმX30სმ.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობები, რაც მოცემულია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონებში.

#### **მუხლი 4. ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმართ წაყენებული მოთხოვნები**

1. მგზავრთა გადამყვანი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი საგზაო მოძრაობის წესებით, დამამზადებლის ინსტრუქციებით, სტანდარტებით, წინამდებარე წესითა და საქართველოს კანონმდებლობით მათ მიმართ დადგენილ მოთხოვნებს.

2. სამგზავრო გადაყვანებზე ავტობუსის ტიპის და კლასის შერჩევა ხდება მარშრუტის, აგრეთვე გზის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მონაცემების მიხედვით.

3. ავტობუსი ეკიპირებული უნდა იქნეს:

ა) რეგულარული გადაყვანის განხორციელებისას მარშრუტის საწყისი და ბოლო პუნქტების აღმნიშვნელი აბრით. აბრა თავსდება სპეციალურად ამ მიზნისათვის განსაზღვრულ თვალსაჩინო ადგილზე ან ავტობუსის სალონში, წინა საქარე მინის ზედა ან ქვედა მარჯვენა კუთხეში, წარწერით გარეთა მხარეს. არარეგულარული გადაყვანის განხორციელებისას იმავე ადგილზე თავსდება აბრა, რომელზეც აღინიშნება წარწერა „დაკვეთით“;

ბ) მძღოლის სახელისა და გვარის, გადამზიდველის დასახელების, მისამართის, ტელეფონის ნომრის და მგზავრობის ღირებულების აღმნიშვნელი ტაბლოთი, რომელიც უნდა განთავსდეს ავტობუსის სალონში მგზავრისათვის თვალსაჩინო ადგილზე;

გ) ავარიული გასასვლელების მაჩვენებელი ნიშნებით;  
დ) დასაჯდომი ადგილების (სავარძლების) ნუმერაციის მაჩვენებლებით (II და III კლასის ავტობუსებისათვის);

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა კომპლექტაციით.

4. მსუბუქი ავტომობილი-ტაქსი (შემდგომში – ტაქსი) ეკიპირებული უნდა იყოს:

ა) ტაქსის ამოსაცნობი ნიშნით;

ბ) მძღოლის ფოტოსურათის, სახელისა და გვარის, გადამზიდველის დასახელების, მისამართისა და ტელეფონის ნომრის შემცველი ინფორმაციით, რომელიც უნდა განთავსდეს ტაქსის სალონში მგზავრისათვის თვალსაჩინო ადგილზე.

### **მუხლი 5. გადამზიდველის და მძღოლის უფლება-მოვალეობები**

1. მგზავრის გადაყვანა დასაშვებია ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო ნორმებით დადგენილი შესაბამისი კლასის ავტობუსებით.

2. აკრძალულია:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონის დაბინძურება-დანაგვიანება და ტექნიკური მოწყობილობების დაზიანება;

ბ) საავარიო მოწყობილობით სარგებლობა, თუ ეს საჭიროებით არ არის განპირობებული;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ მგზავრთტევადობაზე მეტი მგზავრების გადაყვანა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საგნების გადაზიდვა;

ე) მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხმა ავტობუსისა და ტაქსის მარცხენა მხარეს განლაგებული კარებიდან.

3. საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანისას ბარგის გადაზიდვა ხორციელდება ავტობუსის საბარგულით, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანისას დასაშვებია ბარგის სალონში მოთავსება, თუ ის არ ჩახერგავს ავტობუსის სალონში რიგთაშორის და საავარიო გასასვლელებს.

4. ხელბარგი თავსდება ავტობუსის სალონში მისთვის კონსტრუქციულად განკუთვნილ სათავსში (თაროზე) ან/და ისეთ ადგილზე, რომელიც არ ჩახერგავს ავტობუსის სალონში რიგთაშორის და საავარიო გასასვლელს და ხელს არ შეუშლის მგზავრების გადაადგილებას. ავტობუსის სალონში მოთავსებული ხელბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

5. დაუშვებელია ავტობუსის მარაზე კონსტრუქციით გაუთვალისწინებელი საბარგულით ბარგის გადაზიდვა. გადამზიდველს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ბარგის დაცვაზე მისი მიღების მომენტიდან ჩაბარებამდე.

6. მგზავრის გარეშე ბარგის გაგზავნის შემთხვევაში გამგზავნი ვალდებულია დაუდასტუროს მძღოლს ან სხვა უფლებამოსილ პირს ბარგის უსაფრთხოება.

7. შინაური ცხოველების და ფრინველების გადაყვანა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მგზავრის თანხმობით სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებით უფრო დაბალფასიანი მომსახურების შემთხვევაში მგზავრს უბრუნდება მგზავრობის საფასურებს შორის ფასთა სხვაობა.

9. ტაქსის მძღოლს ეკრძალება მგზავრთან შეთანხმების გარეშე სხვა მგზავრის გადაყვანა.

10. გადამზიდველი ვალდებულია:

ა) დროულად მიაწოდოს მარშრუტის საწყის პუნქტში, რეისში გასვლამდე არა უგვიანეს 20 წუთით ადრე, ტექნიკურად გამართული, დასუფთავებული, წინამდებარე წესით და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი ავტობუსი;

ბ) უზრუნველყოს მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანა;

გ) უზრუნველყოს მძღოლი:

გ.ა) შესაბამისი საგზაო სატრანსპორტო დოკუმენტაციით;

გ.ბ) საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბუთებით (საერთაშორისო გადაყვანის განხორციელებისას);

გ.გ) ინფორმაციით მარშრუტზე მოძრაობის პირობების შესახებ;

დ) იმ შემთხვევაში, როცა მგზავრის მიყვანა დანიშნულების ადგილამდე არ მოხერხდა გადამზიდველის (მძღოლის) მიზეზით (ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართაობა, საწვავის უქონლობა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა და ა.შ.) უზრუნველყოს მგზავრის დანიშნულების ადგილამდე მიყვანა სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან დაუბრუნოს მგზავრს გადახდილი თანხა;

ე) აანაზღაუროს მისი ბრალით მგზავრისათვის მიყენებულ ზიანი;

ვ) დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

11. გადამზიდველს უფლება აქვს შეცვალოს მარშრუტი ან გადადოს რეისი მისგან დამოუკიდებელი შემთხვევებით გამო, რომელთა განსაზღვრა და აღმოფხვრა მას წინასწარ არ შეეძლო.

12. გადამზიდველის წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისა და დადასტურების პროცედურა ხორციელდება მის მიერ ამ წესის მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობის დეკლარაციის მიღებით ან ამ წესის მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობის შეფასების მიზნით მისი აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოსათვის ნებაყოფლობით წარდგენით. შესაბამისობის დამადასტურებლის პასუხისმგებლობა ამ წესის მოთხოვნათა დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

13. მძღოლი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მგზავრის გადაყვანის უსაფრთხოება;

ბ) დაიცვას ავტობუსის ტევადობის ნორმები;

გ) „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად საერთაშორისო გადაყვანის განხორციელებისას თან იქონიოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბუთები.

## **მუხლი 6. რეგულარული გადაყვანა**

1. საავტობუსო მარშრუტზე რეგულარული გადაყვანის ორგანიზების მიზნით გადამზიდველის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მარშრუტის მომსახურებისათვის ავტობუსის ტიპისა და კლასის შერჩევის შესახებ;

ბ) მარშრუტზე ავტობუსის მოძრაობის განრიგი (შედგენილი მძღოლთა შრომისა და დასვენების დადგენილი რეჟიმების გათვალისწინებით და შეთანხმებული საწყის, ბოლო და შუალედურ პუნქტებში მოქმედ ავტოსადგურებთან);

გ) სამარშრუტო სქემა (სახიფათო მონაკვეთებისა და შუალედურ გაჩერებებს შორის მანძილების და საშუალო სიჩქარეების ჩვენებით);

დ) სამგზავრო ბილეთი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: მგზავრობის დაწყება-დამთავრების პუნქტები, მგზავრობის საფასური, რეისის შესრულების დრო და თარიღი, დასაჯდომი ადგილის ნომერი, გადამზიდველის დასახელება. საერთაშორისო რეგულარული გადაყვანისას ბილეთში ასევე იწერება ბარგის რაოდენობა, მგზავრის სახელი, გვარი და პასპორტის ნომერი.

2. ბილეთის შექმნა ხორციელდება საბილეთო სალაროში, ხოლო გაჩერების პუნქტებში, სადაც არ არის საბილეთო სალარო – მძღოლთან.

3. რეისზე დაგვიანების ან ბილეთის დაკარგვის შემთხვევაში მგზავრს ბილეთის საფასური არ უბრუნდება, თუ ბილეთის შექმნისას სხვა პირობა არ იყო დადგენილი.

4. ავტოსადგურში ავტობუსში მგზავრების ჩასხდომა იწყება ავტობუსის რეისში გასვლამდე არა უგვიანეს 20 წუთით ადრე.

5. წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებასთან ერთად გადამზიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მარშრუტზე ავტობუსის მოძრაობის განრიგის დაცვა;

ბ) უზრუნველყოს მძღოლი ბილეთებით გზაში აყვანილი მგზავრებისათვის (იმ შემთხვევაში, თუ განრიგით გათვალისწინებულ გაჩერების პუნქტში არ არის ავტოსადგური);

გ) არა უგვიანეს 3 დღით ადრე საბილეთო სალაროებში ან/და მგზავრების მოსაცდელ დარბაზში მგზავრებისათვის თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრას ინფორმაცია მარშრუტზე ავტობუსის რეგულარული მიმოსვლის დაწყების თარიღის, მოძრაობის განრიგის, მასში შეტანილი ცვლილებების და მგზავრობის საფასურის შესახებ.

6. წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებასთან ერთად მძღოლი ვალდებულია:

ა) მგზავრის რეგულარული გადაყვანა აწარმოოს მოძრაობის განრიგის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ავტობუსის გაჩერება მოძრაობის განრიგით განსაზღვრულ პუნქტებში;

გ) მოითხოვოს მგზავრისაგან ბილეთი.

7. მძღოლს უფლება აქვს უარი უთხრას მგზავრს გადაყვანაზე, თუ:

ა) მას არ გააჩნია ბილეთი და უარი განაცხადა მის შექმნაზე;

ბ) ის არღვევს სიმშვიდეს და საზოგადოებრივ წესრიგს, უქმნის დისკომფორტს სხვა მგზავრებს.

8. მგზავრი ვალდებულია:

ა) რეგულარულ მარშრუტზე მგზავრობისათვის და/ან ბარგის გადაზიდვისათვის იქონიოს ბილეთი;

ბ) შეინახოს ბილეთი მგზავრობის დამთავრებამდე და წარუდგინოს ის შესაბამის უფლებამოსილ პირებს მოთხოვნისთანავე;

გ) შეფუთოს გადასაზიდი ბარგი, რათა გადაზიდვისას არ იძლეოდეს გაფანტვის, დაღვრის ან სხვა ბარგის დაზიანება-დაზინძურების საშუალებას.

#### 9. მგზავრს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია გადამზიდველისაგან მგზავრობასა და მასთან დაკავშირებული მომსახურების პირობების შესახებ;
- ბ) დააბრუნოს ბილეთი სალაროში და მიიღოს მგზავრობის სრული საფასური, თუ:
  - ბ.ა) ავტობუსის რეისში გასვლა გვიანდება თხუთმეტ წუთზე მეტი ხნით;
  - ბ.ბ) შესთავაზეს ადგილი უფრო დაბალი კლასის ავტობუსში, ვიდრე ამას მისი ბილეთი ითვალისწინებს;
  - ბ.გ) ვერ იქნა უზრუნველყოფილი ბილეთში აღნიშნული ადგილით;
  - ბ.დ) რეისი არ შედგა;
- გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევების გარდა, ბილეთის დაბრუნებისათვის სხვა დამატებითი პირობების დაწესებისას ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ავტოსადგურში;
- დ) ბილეთის საფასურზე უფრო მაღალფასიანი მომსახურებით მგზავრობის შემთხვევაში იმგზავროს თანხის დამატების გარეშე, თუ ბილეთი შექმნილია ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამოცხადებამდე;
- ე) უფასოდ წაიყვანოს 5 წლამდე ასაკის ბავშვი, თუ ის არ დაიკავებს ცალკე ადგილს.

#### **მუხლი 7. სპეციალური რეგულარული გადაყვანა**

1. სპეციალური რეგულარული გადაყვანის განსახორციელებლად გადამზიდველმა დამკვეთთან შეთანხმებით თითოეულ მარშრუტზე უნდა შეადგინოს მოძრაობის განრიგი.
2. ბავშვების სპეციალური რეგულარული გადაყვანა უნდა ხორციელდებოდეს დღეღამის ნათელ პერიოდში, ჩართული ახლო შუქის ფარებით.
3. ბავშვების სპეციალური რეგულარული გადაყვანისას მძღოლს ეკრძალება კაბინიდან გამოსვლა ბავშვების ჩასხდომის (გადმოსხმის) დროს.

#### **მუხლი 8. საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანა**

1. საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანა რეგულირდება:
  - ა) მრავალმხრივი კონვენციებითა და შეთანხმებებით;
  - ბ) „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“ სამთავრობათაშორისო შეთანხმებებით;
  - გ) წინამდებარე წესითა და იმ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება გადაყვანა.
2. გადამზიდველი, რომელიც ახორციელებს ან სურვილი აქვს განახორციელოს საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანა უნდა პასუხობდეს ევროსაბჭოს 1996 წლის 29 აპრილის №96/26/EC დირექტივით „სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო გადაზიდვების განმახორციელებელი კომპანიების სამუშაოზე დაშვების, აგრეთვე ეროვნული და საერთაშორისო გადაზიდვების თავისუფლად განხორციელების უფლების გამოყენებაში აღნიშნული საწარმოებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, დიპლომების, სერტიფიკატების და პროფესიული კვალიფიკაციის სხვა დამადასტურებელი მოწმობების ურთიერთაღიარების შესახებ“ და ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის 1995 წლის 7-8 ივნისის №95/2 რეზოლუციით ECMT/CM(95)3FINAL „ავტობუსებით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანების შესახებ“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### **მუხლი 9. დარჩენილი ნივთების დაბრუნება**

1. რეგულარული მიმოსვლის ავტობუსის სალონში ან/და საბარგულში დარჩენილი ხელბარგი ან/და ბარგი მძღოლმა უნდა ჩააბაროს მარშრუტის საწყის ან ბოლო პუნქტში ავტოსადგურის პასუხისმგებელ პირს.

2. არარეგულარული მიმოსვლის ავტობუსისა და ტაქსის სალონში ან/და საბარგულში დარჩენილი ნივთები მძღოლმა უნდა ჩააბაროს გადამზიდველს ან დაკარგული ნივთების ბიუროში.

3. დარჩენილი ხელბარგი ან/და ბარგი შენახული უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში (გარდა მალფუჭებადი პროდუქტებისა).

### **მუხლი 10. პასუხისმგებლობა**

პასუხისმგებლობა ამ წესის მოთხოვნათა დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.



# თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს

## დადგენილება №21

2013 წლის 30 აპრილი

ქ. ბათუმი

**„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო ადგენს:

1. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში (სსმ V, №46, 3.11.2010, მუხ.1356) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას 22-ე მუხლის შემდგომ დამატოს შემდეგი შინაარსის 22<sup>1</sup> მუხლი:

**„მუხლი 22<sup>1</sup>. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქმედებების განხორციელების საკითხები**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს ავტომანქანების სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ მითითებულ უახლოესი პარკირების ადგილზე გადაყვანას. თუ შეუძლებელია უახლოესი პარკირების ადგილზე გადაყვანა, მაშინ სააგენტო ავტომანქანას გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე.

2. წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტომანქანების გადაყვანას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“ ახორციელებს უსასყიდლოდ.

3. წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე (მოსარგებლე) თავისუფლდება ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის საფასურის გადახდისაგან.

4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტომანქანების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საპატრულო პოლიციას.

5. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული რეგულაციები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ადგილი აქვს პარკირების წესების დარღვევას და მოცემული დარღვევისათვის გათვალისწინებულია ავტომანქანის სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჩავლეიშვილი



# თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს

## დადგენილება №24

2013 წლის 23 მაისი

ქ. ბათუმი

**„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო ადგენს:

1. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში (სსმ V, №46, 3.11.2010, მუხ.1356) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების მე-4 მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირების შემთხვევაში, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, მათ შორის ტროტუარზე ავტომანქანის პარკირებისას, სადაც განთავსებული არ არის პარკირების საცნობარო ნიშანი ან/და მონიშვნის ნიშანი, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ავტომანქანის ქუჩის იმ ადგილებზე პარკირებისას, სადაც დგომა ან გაჩერება აკრძალულია, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

ბ) დადგენილების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში ავტომანქანის პარკირება, თუ აღნიშნული ადგილებისათვის განთავსებული არ არის პარკირების დაშვების საცნობარო ნიშანი;“.

გ) დადგენილებას 23-ე მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 23<sup>1</sup> მუხლი:

**„მუხლი 23<sup>1</sup>. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე (საჯარიმო სადგომზე) გადაყვანის საფუძვლები**

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე (საჯარიმო სადგომზე) გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ამ დადგენილებით განსაზღვრული პარკირების წესების დარღვევის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას ისეთ ადგილას, რომელიც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას;

ბ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას საზოგადოებრივი (მუნიციპალური) ტრანსპორტის გაჩერებისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე (საჯარიმო სადგომზე) გადაყვანა დასაშვებია:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ასეთ ადგილას განთავსებულია შესაბამისი საცნობარო ნიშანი (მინიშნება „ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას“);

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ასეთ



ადგილას განთავსებულია თუ არა შესაბამისი საცნობარო ნიშანი (მინიშნება – „ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას).“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჩავლეიშვილი



თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №30

2013 წლის 27 სექტემბერი

ქ. ბათუმი

**„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო ადგენს:

1. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში (სსმ V, №46, 3.11.2010, მუხ.1356) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების 23<sup>1</sup> მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები:

„გ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას ტროტუარზე;“.

„დ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება დგას ავტობუსების გაჩერებაზე;“.

„ე) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებები ხერგავენ/აბრკოლებენ მოძრაობას;“.

„ვ) რომლებიც ხელს უშლიან კეთილმოწყობითი სამუშაოების წარმოებას (მერიის სამსახურების მითითებით ა/მობილების გადაყვანა მოხდება არა სპეციალურ სადგომზე);“.

„ზ) სხვადასხვა ღონისძიებების დროს (სხვადასხვა სამსახურების მითითებით ა/მობილების გადაყვანა მოხდება არა სპეციალურ სადგომზე);“.

„თ) დგანან 3.27. „გაჩერება აკრძალულია“ და 3.28. „დგომა აკრძალულია“ ნიშნების ქვეშ შ.რუსთაველის ქუჩაზე, ე. ნინოშვილის ქუჩის დ. თავდადებულის ქუჩიდან პ. მელიქიშვილის ქუჩამდე მონაკვეთზე, ასევე ი. ჭავჭავაძის ქუჩის ი. გოგებაშვილის ქუჩიდან ნ. ბარათაშვილის ქუჩამდე მონაკვეთზე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ქუჩებზე ძირითადად საგზაო ნიშანთან ერთად განთავსებულია დამატებითი (ევაკუაციის) ნიშანი;“.

„ი) დგანან გზაჯვარედინებთან მისასვლელ გზებზე 3.27. „გაჩერება აკრძალულია“ და 3.28. „დგომა აკრძალულია“ საგზაო ნიშნების ქვეშ, თუ ძირითად საგზაო ნიშანთან ერთად განთავსებულია დამატებითი (ევაკუაციის) ნიშანი;“.

ბ) დადგენილების 23<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ასეთ ადგილას განთავსებულია თუ არა შესაბამისი საცნობარო ნიშანი (მინიშნება – „ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას).“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჩავლეიშვილი



# ქალაქ ბათუმის საკრებულოს

## დადგენილება №36

2015 წლის 25 დეკემბერი

ქ. ბათუმი

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

### მუხლი 1

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში (სსმ V, №46, 3.11.2010, მუხ.1356) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის (რედაქციის) 9<sup>1</sup> პუნქტი:

„9<sup>1</sup>. იკრძალება და პარკირების წესების დარღვევად ჩაითვლება პარკირების საერთო ადგილების გამოყენება გარე ვაჭრობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავების, სხვა მომსახურების და ნებისმიერი სახით რეკლამის გავრცელებისათვის.“.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჭეიშვილი



# ქალაქ ბათუმის საკრებულოს

## დადგენილება №3

2018 წლის 18 იანვარი

ქ. ბათუმი

**„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი – [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 03/11/2010, სა-რეგისტრაციო კოდი: 310150000.35.132.016008) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმები – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები.“;

ბ) დადგენილების მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარკირების ორგანიზებას ახორციელებს მერია ან მესამე პირი წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. მერიის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის, პარკირების საერთო ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დადგენას (მართებული დგომა, 90-გრადუსიანი დგომა ან/და 45-გრადუსიანი დგომა);

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომანქანების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივი შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას;

გ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე ცალკეული ავტომანქანის პარკირებისათვის გარკვეული მოთხოვნების შემუშავებას და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას;

დ) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის განსაზღვრას და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას, თუ პარკირების საფასურის ამოღებას ახდენს მერია;

ე) პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასურის განსაზღვრას და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას;

ვ) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის ამოღებას, თუ აღნიშნულ ადგილებში პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემული არ აქვს მესამე პირს;

ზ) პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებების, ასევე მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმებების მომზადებას და აღმასრულებელი



ორგანოსადმი ხელმოსაწერად წარდგენას;

თ) კონტროლის განხორციელებას ხელშეკრულების მხარის მიერ სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობების განხორციელებაზე, ამ მიზნით ხელშეკრულების მხარისათვის ხელშეკრულებიდან (ოქმიდან) გამომდინარე გაფრთხილებებისა და სხვა შეტყობინებების გაგზავნას, ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მხარისათვის დამატებითი ვადების დაწესებას, ხელშეკრულების მხარის მიერ სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობების დარღვევისას პირგასამტეხლოს დაკისრების ან/და დადგენილი წესით მისგან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხის განხილვას და აღმასრულებელი ორგანოსადმი ხელმოსაწერად შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენას, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას;

ი) მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, თუ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ხდება საფასურის დაწესება, პარკირების საერთო ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას, პარკირების საერთო ადგილების შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობისათვის ვადების განსაზღვრას;

კ) მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების სპეციალური ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, პარკირების სპეციალური ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას, პარკირების სპეციალური ადგილების შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობისათვის ვადების განსაზღვრას;

ლ) პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლიანი ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის აღმასრულებელი ორგანოსადმი წარდგენას;

მ) პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლიანი ფორმით აუქციონის წესით განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებას, სააუქციონო პირობების შემუშავებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის აღმასრულებელი ორგანოსადმი წარდგენას;

ნ) პარკირების ორგანიზების უფლების წინამდებარე წესით გათვალისწინებული პირებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, რაც გაიცემა წერილის სახით;

ო) პარკირების ადგილების შესაბამისი საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას, პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას, თუ არ ხდება პარკირების ორგანიზების უფლების მესამე პირისათვის გადაცემა;

პ) საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.“;

**გ) დადგენილების 22<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 22<sup>1</sup>. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქმედებების განხორციელების საკითხები**

1. პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დასაცავი პირებისა და დაცვის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს ავტომანქანების სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ მითითებულ უახლოესი პარკირების ადგილზე გადაყვანას. თუ შეუძლებელია უახლოესი პარკირების ადგილზე გადაყვანა, მაშინ ავტომანქანის გადაყვანა ხორციელდება სპეციალურ დაცულ სადგომზე.

2. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტომანქანების გადაყვანას პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს უსასყიდლოდ.



3. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე (მოსარგებლე) თავისუფლდება ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის საფასურის გადახდისაგან.

4. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ავტომანქანების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისას პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საპატრულო პოლიციას.

5. ამ მუხლით განსაზღვრული რეგულაციები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ადგილი აქვს პარკირების წესების დარღვევას და მოცემული დარღვევისათვის გათვალისწინებულია ავტომანქანის სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა.“.

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე





# ქალაქ ბათუმის საკრებულოს

## დადგენილება №45

2018 წლის 29 მაისი

ქ. ბათუმი

**„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 03/11/2010, სარეგისტრაციო კოდი: 310150000.35.132.016008) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-4 მუხლის 9<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9<sup>1</sup>. იკრძალება და პარკირების წესების დარღვევად ჩაითვლება პარკირების საერთო ადგილების გამოყენება გარე ვაჭრობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავების, სხვა მომსახურების და ნებისმიერი სახით რეკლამის გავრცელებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარკირების ადგილების გამოყენება მერიასთან შეთანხმებით ხდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებისათვის.“.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

